# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 მაისი 2007 №101 (3024) ფასი 50 თეთრი


| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 23 | 17 | 5 | 1 | 52:7 | 56 |
| დინამო | 23 | 17 | 2 | 4 | 47:17 | 53 |
| ამერი | 23 | 15 | 5 | 3 | 44:14 | 50 |
| ზესტაფონი | 23 | 14 | 8 | 1 | 45:10 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 23 | 12 | 8 | 3 | 39:23 | 44 |
| სიონი | 23 | 11 | 3 | 9 | 27:20 | 36 |
| ბორჯღო | 23 | 9 | 4 | 10 | 21:26 | 31 |
| ბორჯომი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:31 | 27 |
| ბათუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 21:26 | 24 |
| ლოკომოტივი | 23 | 5 | 6 | 12 | 14:31 | 21 |
| ჩიხურა | 23 | 5 | 6 | 12 | 13:33 | 21 |
| მერანი | 23 | 4 | 8 | 11 | 15:35 | 20 |
| დილა | 23 | 2 | 5 | 16 | 15:54 | 11 |
| კახეთი | 23 | 0 | 2 | 21 | 19:70 | 2 |

# ტოპზე ტოპი: ხალხი!



# ჰანდიკაპი თუ ალიკაპი?



თითქმის მთელი ქართული საფეხბურთო ამქარი რუსთავში იყო — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, დღე-დღეზე არჩევნებში ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები, ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი... მთავრობის წევრებსაც მოჰკრავდით თვალს... ბოლოს როდის ვნახეთ 10 ათასზე მეტი მაყურებელი საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე? რუსთავის „ფოლადი" გადაანშლაგებული იყო.

როგორი კითხვის ნიშანიც შაბათამდე ესვა, ისეთივე დატოვა საჩემპიონო მატჩმა შაბათის მერეც. და, მაინც, რუსთაველმა 0:0-მა „ოლიმპისთვის" გაისროლა. რევაზ ძოძუაშვილის გუნდი კვლავ სამი ქულით უსწრებს „დინამოს" და მოდით, ასე ვთქვათ — ჩემპიონობასთან ახლოსაა. გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს და ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომელიმეს უნდა მოეგო: საფრეო ფრედ დამთავრდა.

რუსთაველმა ჯახმა ტურის დანარჩენი ექვსი თამაში გადაწონა, არადა, ცხრილის ქვედა ნაწილში ძალიან საინტერესო ამბები მოხდა — „ჩიხურამ" საპლეიოფო მე-12 ადგილი დიდი სიამოვნებით დაუთმო „მერანს". მესამე საფეხურისთვისაც გვარიანი მარულაა, „ამერი" და „ზესტაფონი" მარტო თასის ფინალს როდი ელიან, ბრინჯაოს მედალი აწყენთ?!



# შო თას არა







# ალექსუს!

## მაუ მანიუს მოთქვამს



# ავიამზიდს ერთი გაფრენაღა უნდა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი თსუ-სთან კი წააგო, მაგრამ მოატანა გადამწყვეტმა, საპლეიოფო ჯახებმა და მოქმედმა ჩემპიონმა „ავიამშენმა" ორ დღეში ორჯერ დაამარცხა სტუდენტური გუნდი. ლევან მოსეშვილის შეგირდებმა კაპიტან ირაკლი ხოშტარიას გარეშე ითამაშეს ამბიციამოჭარბებულ თსუ-სთან, მაგრამ ირაკლი ბერიშვილმა გუნდს ლიდერის არყოფნა არ აგრძნობინა. ტყუპისცალმა ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში 23, ხოლო მეორეში — 42 ქულა მოიხვეჭა, ამ ორ შეხვედრაში 26 საჯარიმო ქულა ისე მიითვალა, ერთიც არ აუცილებია და „ავიამშენს" ფინალამდე ერთი გამარჯვება რომ აკლია, მეტწილად მისი დამსახურებაა. ამ დაპირისპირებისგან განსხვავებით, მოლოდინისამებრ, ნაკლები ინტრიგაა მეორე ნახევარფინალში. „აზოტმა" რუსთავში „დინამოს" თითქმის ერთნაირი სხვაობით მოუგო ორი მატჩი და ხვალ ვერის ბაღშიც რომ მოიგოს, ფინალშიც შეაბიჯებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 33



მაშ ასე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები არიან: ნოდარ ახალკაცი, გიორგი ნემსაძე, მამუკა კვარაცხელია...

– 4 მაისს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა სამდივნომ 13 მაისის ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ყველანაირი საბუთების მიღება შეწყვიტა და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას შეუდგა. პრეზიდენტობის კანდიდატები ცნობილია. ცნობილია 33 ამომრჩევლის, სათათბირო ხმის უფლების მქონეთა და ფედერაციის მომავალი აღმასკომის წევრობის მსურველთა ვინაობა. ახლა რიგში 12 მაისის აღმასკომია, რომელიც საყრილობო მასალებს მოამზადებს, შემდეგ კი 13 მაისია...

გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *უჩა უგულავამ* პრესკონფერენცია გამართა და წინასაყრილობო თუ საყრილობო ამბებზე ეს თქვა:

— ფედერაციის გენსამდივნომ რეგისტრაციაში პრეზიდენტობის სამი კანდიდატი და ის დელეგატები გაატარა, რომლებიც ყრილობაში ხმისა და სათათბირო ხმის უფლებით მიიღებენ მონაწილეობას, ასევე დავასრულეთ აღმასკომის წევრობის მსურველთაგან განაცხადების მიღება.

— მომავალი აღმასკომი 15 წევრით დაკომპლექტდება. ერთი ადგილი ავტომატურად ფედერაციის პრეზიდენტს ერგება, რომელიც იმავდროულად აღმასკომის თავმჯდომარეც იქნება. დანარჩენ 14 ადგილზე 27 კანდიდატია. აღმასკომის ახალ შემადგენლობას 13 მაისის ყრილობა აირჩევს.

— 12 მაისს კი ფედერაციის ახლანდელი აღმასკომის ბოლო სხდომა იქნება და იქამდე პრეზიდენტობისა თუ აღმასკომის წევრობის მსურველებს საკუთარი კანდიდატურების მოხსნა შეეძლებათ. 12 მაისის აღმასკომზე განიხილება გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხიც.

— 13 მაისის ყრილობა სასტუმრო „ქორთიარდში" 11 საათზე დაიწყება, დელეგატების რეგისტრაცია — ათის ნახევრიდან. ყრილობაზე უეფას წარმომადგენელთა დასწრების თაობაზე ფეხბურთის ფედერაციას ორშაბათს ეცოდინება.

### სფფ-ს მე-12 საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის ხმოსნები:

გიორგი არევაძე, „სიონი"; შოთა ბაქრაძე, ეზოს ფეხბურთის ასოციაცია; მერაბ ბერიძიშვილი, ქალთა ფეხბურთის ფედერაცია; ვახტანგ ბზიკაძე, „ამერი"; პაატა ბურჯალიანი, პროფესიული ფეხბურთის ლიგა; თემურ გიგუაშვილი, შიდა ქართლის რეგიონული ფედერაცია; ამირან გოგიტიძე, „ბათუმი"; გიორგი გოგოლაძე, ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაცია; ოთარ გუნთაძე, მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია; ლაშა დარასელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია; გიორგი დევდარიანი, „ბორჯომი"; კახა დევდარიანი, ფუტსალის ასოციაცია; იაკობ ზაქარეიშვილი, გურიის რეგიონული ფედერაცია; ვაჟა თოფურია, „ლოკომოტივი"; მალხაზ კაკაურიძე, „ვიტ ჯორჯია"; პაატა კიკვაძე, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია; ილია კოკაია, „ზესტაფონი"; ოთარ კორძალიძე, თბილისის ფეხბურთის ფედერაცია; სერგო კოტრიკაძე, ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი; მიხეილ ლურსმანაშვილი, „დილა"; გოჩა მამაცაშვილი, „კახეთი"; მერაბ მეგრელაძე, იმერეთის რეგიონული ფედერაცია; ჯამბულ მელაძე, „ტორპედო"; ვაჟა ჟვანია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი; გოჩა როსტომაშვილი, კახეთის რეგიონული ფედერაცია; ბადრი ქაჯაია, აჭარის ფეხბურთის ფედერაცია; ამირან ღიბრაძე, „დინამო თბილისი"; ტარიელ შავერდაშვილი, „ოლიმპი"; პაატა ჩხეიძე, „მერანი"; ზურაბ ცერცვაძე, „ჩიხურა"; დიმიტრი ჭანტურია, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია; პაპუნა ხაჩიძე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაცია; გოჩა ჯამარაული, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაცია.

### სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატები:

მურად ანჯაფარიძე, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია; რევაზ არველაძე, ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი; ალექსანდრე ახვლედიანი, აჭარის ფეხბურთის ფედერაცია და „ბათუმი"; ნუგზარ ბექაური, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაცია; გიორგი გაბაშვილი, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი; დავით გელაშვილი, „ბორჯომი"; მამუკა გუგეშაშვილი, „ოლიმპი"; მამუკა ვარდოსანიძე, „დილა"; ალექსი თოფურია, „ლოკომოტივი"; ვლადიმერ კაკაურიძე, „ტორპედო"; ნუგზარ კაკილაშვილი, თბილისის ფედერაცია; სერგო კვარაცხელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია; ვალერი მანაგაძე, იმერეთის რეგიონული ფედერაცია; ლაშა მინდელი, ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაცია; დიმიტრი რამიშვილი, პროფესიული ფეხბურთის ლიგა; გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯია"; დავით სილაგაძე, „სიონი"; კობა სუბელიანი, „ზესტაფონი"; თენგიზ სულაქველიძე, ქალთა ფეხბურთის ფედერაცია; გიორგი ტყავაძე, „დინამო თბილისი"; ზურაბ ფოცხვერია, „ამერი"; გიორგი ქავთარაძე, ეზოს ფეხბურთის ასოციაცია; დურმიშხან ჩხაიძე, გურიის რეგიონული ფედერაცია; გრიგოლ ცაავა, ფუტსალის ასოციაცია; ზაზა ციციშვილი, მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია; დილარ ხაბულიანი, „მერანი"; ივანე ხორგუაშვილი, „კახეთი".

* *გურიის რეგიონული ფედერაციის გადაწყვეტილებათა უფლებამოსილების საკითხი განიხილება სფფ-ს აღმასკომის 2007 წლის 12 მაისის სხდომაზე*

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
გაზეთ „24 საათის" მთავარ რედაქტორს
მამუკა ფაჩუაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო**

# ხუმ-არა თუ ხუმ-ჰო? ჯა-ბატიუშკი...

წინა შაბათ-კვირისა არ იყოს, ქართველმა ლეგიონერებმა ვერც ამჯერად იყოჩაღეს — ეს მთლიანობაში, თორემ ყველაფერი შედარებითია. ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩები ახლოვდება, ჰოდა, ჩვენების უქმობა გვადარდებს: ბევრ მენაკრებეს ძირითადი დაანატრეს, განსაკუთრებით კი ეს უკრაინაში იგრძნობა...

გერმანიიდან დავიწყოთ, სადაც ლევან კობიაშვილი ხუთმატჩიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა „შალკეს" ძირითადში — „ხუმარებმა" შინ 1:0 სძლიეს „ნიურნბერგს" და ბუნდესლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კვლავ ლიდერები არიან. კობიმ ოდენ პირველი ტაიმი ითამაშა და დიდად აქტიური არ ყოფილა, შესვენების შემდეგ კი მის ნაცვლად თურქი ყმაწვილი იოზილი გამოვიდა.

მეორე ბუნდესლიგაში კი ყველაფერი ყირამალა ჩათავდა. სენსაციების სერია პარასკევს ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა" დაიწყო, გუშინ კი მისმა კონკურენტებმა გადაიბარეს ესტაფეტა: „ჰანზამაც" და „ფიურტმაც" წყვილად დათმეს თამაში. ეტყობა, ეს ორი გუნდი და „ფრაი" ერთმანეთს ეჯიბრებიან მარცხებში და ბუნდესლიგაში გადასვლა ეზარებათ.

იენის „კარლ ცაისი" მთელი თამაში იგებდა გავარდნილ „ბრაუნშვაიგთან", თუმც გიორგი ლომაიამ ბოლო წუთზე გაუშვა და 1:1. ლომაია 90 წუთი იდგა კარში, მიხეილ აშვეთია კი სათადარიგოებში იჯდა. „კარლ ცაისი" ბოლოდან მეოთხე ადგილზე კია, მაგრამ არგავარდნის კარგი შანსი აქვს და დარჩენილ ორ ტურში გადაწყდება, რა და როგორ...

უმოტივაციო „მიუნხენ 1860"-მა სწორედ იენელთა კონკურენტ „უნტერჰახინგს" სძლია 1:0, მათე ლვინიანიძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

დანიაში „ვიბორგმა" კვლავ წააგო — ამჯერად სტუმრად „ვეილესთან" 2:0 და ვიბორგელთა 20 წლის მცველი გიორგი ფოფხაძე 59-ე წუთზე გააძევეს.

სასიხარულო კი ისაა, რომ კახა კალაძემ ზედიზედ მეორედ ითამაშა „მილანის" ძირითადში და, „მანჩესტერთან" თამაშის მსგავსად, „ფიორენტინასთანაც" (0:0) თითქმის უშეცდომოდ გაისარჯა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „იების" ორი სახიფათო შეტევის ჩაშლითაც გამოიჩინა თავი.

რუსეთში ჩვენთვის ყველაზე გამოსარჩევი დავით მუჯირის გაცუდებული პენალტი იყო. „მუმუმ" „ზენიტთან" პეტერბურგში მე-18 წუთზე ძელს გაარტყა 11 მეტრიდან. მართალია, „კრილია" მაინც დაწინაურდა, მაგრამ ანგარიში ვერ შეინარჩუნა — 1:1. ისე, მუჯირი საუკეთესო იყო სამარელთაგან და მასპინძელთა მეკარეს ორჯერ სასწაული ნახტომები დააჭირვა. დათო 70-ე წუთზე შეცვალეს.

გოგიტა გოგუამ ბოლო 22 წუთი იბურთავა „ლოკომოტივთან" საშინაო მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა. ონლაინ-რეპორტაჟის მიხედვით, ყინიანი ქართველი ძალიან აქტიურად შესულა მინდორზე. რკინიგზელთაგან კი მალხაზ ასათიანს, ცხადია, კვლავაც არ უთამაშია — რუსულ პრესაში აღნიშნეს, სავარაუდოდ, ორი კვირის მერე დაბრუნდებაო.

ნალჩიკის „სპარტაკმა" მოსკოვში „დინამოსან" 0:2 დათმო და სრულად ითამაშა ყაბარდოელთა მცველმა ალეკო ამისულაშვილმა, მისი თანაგუნდელი ლევან გვაზავა კი მხოლოდ ცხრა წუთით შეუშვეს.

ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძის „რუბინის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა კი უკვე ტრადიციად იქცა — ყაზანელებმა ამჯერად მოსკოვში „სპარტაკთან" 1:2 წააგეს და კვლავაც ცხრილის ძირში ყურყუტებენ.

ინგლისში ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი" მოგებ-მოგებით კი ასრულებს სეზონს, მაგრამ ქართველ მცველს რა ხეირი?! „ხიზანამ" „ნიუკსლ" — „ბლექბერნის" 0:2 კვლავ ტრავმის გამო გამოტოვა და შესაძლოა, ოპერაციაც კი დასჭირდეს.

უკრაინაში კვლავ კიევის „დინამოს" დუბლებში თამაშით დაკმაყოფილდნენ ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი და კახა ალადაშვილი — კიეველთა მთავარმა გუნდმა კი ჯაბა კანკავას „დნიპროს" 2:0 სძლია და ამ მატჩის ანტიგმირი სწორედ ჯაბა იყო: უკვე 21-ე წუთზე ორი ყვითელი ბარათი მიიღო და თავისიანები რიცხვმცირენი დატოვა.

„მსაჯი მართალი იყო, კანკავას საქციელს ახსნას ვერ ვუძებნი და ეს მაშფოთებს. იქნება თუ არა ჯაბას მიმართ სანქცია კლუბიდან? როგორც იცით, იგი საქართველო — იტალიის მატჩშიც გააძევეს და „დნიპროშიც" უკვე მეორედ გააწითლეს, რის გამოც კლუბმა სოლიდური თანხით დასაჯა. კანკავა ასჯერ გავაფრთხილე, აკურატულად თამაში მოვთხოვე და ახლა რა ვილონო, აღარ ვიცი" — თქვა ნამატჩევს „დნიპროს" თავკაცმა ოლეგ პროტასოვმა, როდესაც კანკავას გაძევებაზე ჰკითხეს.

„ზარიამ" 1:0 აჯობა გიორგი დემეტრაძის გარეშე მოთამაშე დონეცკის „მეტალურგს". ზარიელთაგან გიორგი ჭელიძემ ოდენ ბოლო ხუთი წუთი იბურთავა. არ შეუდგამთ მინდორზე ფეხი „ჩერნომორეცის" ილია კანდელაკსა და „არსენალის" ლაშა ჯაკობიას.

# ორსი ზურთითაც ძმაა!



**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი ქურთას, თამარაშენს და აჩაბეთს ესტუმრნენ.

ნოდარ ახალკაცი ქურთაში შეხვდა დიმიტრი სანაკოევს და მასთან ერთად გაემგზავრა თამარაშენში, სადაც ადგილობრივი გუნდების თამაშს დაესწრო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია ადგილობრივ მოსახლეობას და ფეხბურთელებს შეხვდა. სტუმრებმა დამხვდურთ საჩუქრები, სფფ-ის სლოგანით „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" დამშვენებული მაისურები და შარფები, ასევე ფეხბურთის ბურთები გადასცეს.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 23 ტური

# ხალხი ტრიბუნია



# შეტევა, შეტევა?

რუსთავი. 5 მაისი. 17 საათი. ფოლადი. 12 000 (ტევადობა 12 000)

## ოლიმპი 0:0 დინამო

| | |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე, აფციაური (ბერუაშვილი 90), ძამსაშვილი (დვალიშვილი 46; კახელიშვილი 83), რ. გოცირიძე<br>*სათადარიგონი:* მ. ალავიძე; ჩხეტიანი, ხუბუა<br>მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი | დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე (სპასოევიჩი 80), ს. კობახიძე, ფეიქრიშვილი (ლ. ნოზაძე 90), გ. მერებაშვილი (ოდიკაძე 65), ს. იაშვილი<br>*სათადარიგონი:* ლორია; გ. კაშია, გუგავა, თომაშვილი<br>მწვრთნელი: დუშან უჰრინი |

გაფრთხილება: გეწაძე (63), კაშია (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი



კობა ინასარიძე რუსთავიდან

**გადაჭედილი** ტრიბუნები, ინტრიგა, უდიდესი მოტივაცია და შანსი განაღდებული ჩემპიონობისა — კარგი ფეხბურთის სათამაშოდ „ოლიმპსა“ და „დინამოს“ ყველა პირობა ჰქონდათ, მაგრამ არ ჰქონდათ მთავარი, ნორმალური მოედანი, რომელზეც შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენდნენ და დაძაბულობას სანახაობრივი ფეხბურთით შეალამაზებდნენ. სანახაობა კი, გარდა იმისა, რომ რუსთაველმა ქომაგებმა მატჩის დაწყებამდე სალუტი მოაწყვეს, სხვა არაფერი იყო. იყო ნერვიულობა, იყო დაძაბულობა, იყო ქომაგობა... მაგრამ არ იყო ისეთი ფეხბურთი, როგორსაც ველოდით.

სატურნირო ცხრილსა და ჩემპიონატის დარჩენილი ტურების კალენდარს თუ ჩახედავთ, იოლად მიხვდებით, რა მნიშვნელობისა იყო „ოლიმპი“ — „დინამოს“ ეს შეხვედრა. საჩემპიონო თამაშიაო, ტყუილად როდი იწერებოდა და ალბათ ესეც ერთი მიზეზია იმისა, რომ მეტოქეები შაბათს სიფრთხილეშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ვერ გეტყვით, რუსთაულ მატჩს სხვა დატვირთვა რომ ჰქონოდა, რევაზ ძოძუაშვილი და დუშან უჰრინი შეგირდებს როგორ დამოძღვრავდნენ ან რა ტაქტიკით ათამაშებდნენ, ფაქტი კია, არც ერთი ეს მწვრთნელი მაინცდამაინც შემტევი ფეხბურთის მოყვარული არ არის.

ძოძუაშვილისა და „ოლიმპისა“ კიდევ გასაგები იყო, მათთვის ფრეც ძალიან შედეგი იქნებოდა. აი, „დინამოს“ გასამართლებლად კი მიზეზებს ვეძებთ და ვერ ვპოულობთ: განა შეიძლება, გუნდს უეჭველი მოგება სჭირდებოდეს და მეტოქის კარში სულ ორ-სამჯერ დაარტყას?!

ნაღდი საგოლე მომენტი „დინამოს“ სულ ერთი ჰქონდა, ისიც მატჩის მიწურულს: ჩერნიგორიელი სპასოევიჩის დარტყმული კარის ხაზზე მდგომ ჭიჭველიშვილს თავში მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. მართალია, რეალური საგოლე შანსი „ოლიმპსაც“ სულ ერთხელ მიეცა, მაგრამ სხვა მხრივ მცირე უპირატესობა მაინც მასპინძლებისა იყო და ეს ნულოვანი, რუსთაველთათვის კი თითქმის საჩემპიონო შედეგი, ლოგიკური იქნება, ლოგიკურად ჩავთვალოთ.

„ოლიმპი“ თავს შვიდი ფეხბურთელით იცავადა. „დინამოს“ შეტევებისას აფციაური და გეწაძე საკუთარი ნახევრის შუაში ხვდებოდნენ სტუმრებს. გოცირიძე მოედნის ცენტრში, დანარჩენები კი საჯარიმოს ირგვლივ იყვნენ ჩამწკრივებულნი და დინამოელებს გასაქანს არ აძლევდნენ. გასაქანი არ ჰქონდა არც სანდრო იაშვილს. მას მასპინძლებმა კოზირის გამოყენების საშუალება მინიმუმამდე შეუმცირეს და საჰაერო ორთაბრძოლა სულ ერთი-ორჯერ დაუთმეს. არადა, როგორც აქამდე, ამ მატჩშიც უჰრინმა ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშა და ეს მარტოშემტევი, ცხადია, იაშვილი იყო. თბილისელთა იერიშების უმეტესობა კი იაშვილისკენ ჩაწოდებით მთავრდებოდა.

პირველ ტაიმში „დინამოს“ მცველებმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს. „ოლიმპი“, როგორც ვთქვით, შეტევას არ ეძალებოდა, მაგრამ როცა მეტოქე საჩუქარს სთავაზობდა, გრიშიკაშვილის კარისკენ სახიფათოდ ურტყამდა. სტუმრები ერთხელ გეწაძემ აანერვიულა, შემდეგ ძამსაშვილმა და გოცირიძემ, თუმცა მათ მიზანმა უმტყუნა. ერთხელაც სლოვაკ კრშკოს დაუდევრობით გოცირიძეს შეეძლო ესარგებლა, მაგრამ შეცდომა ისევ კრშკომ გამოასწორა და კართან მიახლოვებულ ოლიმპელს აღარ დაარტყმევინა. „დინამოს“ შესვენებამდე მეტოქის კართან ღირებული არაფერი შეუქმნია. „ოლიმპის“ შვიდკაციანი დაცვა თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა.

შესვენებაზე რევაზ ძოძუაშვილმა ერთი ისეთი შეცვლა გააკეთა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა — საყრდენ ნახევარმცველ ძამსაშვილს ფორვარდი დვალიშვილი ამჯობინა, ანუ აქცენტი კონტრშეტევაზე გააკეთა. მოედნის შუაში კი „დინამომ“ თვალშისაცემი უპირატესობა მიიღო და თამაშიც მთლიანად თბილისელებმა წაიყვანეს. მასპინძელთა საჯარიმომდე სტუმრებს ბურთი იოლად მიჰქონდათ, მაგრამ შემდეგ, შთაბეჭდილება იქმნებოდა, არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. თუმცა ერთი კარგი მომენტი „დინამომ“ თამაშის ამ პერიოდშიც შექმნა — „ოლიმპი“ ონიანმა გადაარჩინა.

მეორე ტაიმის საწყისმა 15 წუთმა გადაიარა და „ოლიმპმა“ თამაში გაათანაბრა. ერთმანეთს გუნდები აღარ დამუქრებიან, ბურთი ხშირად იკარგებოდა მოედნის ცენტრში და კარებთან იშვიათად აღწევდა. მერე კი მასპინძელთა მემარცხენეებს, ყოფილ დინამოელებს ნავალოვსკისა და გეწაძეს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. ის შეტევაც, რომელიც ალბათ მთელ სტადიონს ჰადაჰა გოლი ეგონა, სწორედ გეწაძემ წამოიწყო და ბოლოს ბურთი კარის გასწვრივ დაბალზე ჩააწოდა. ბურთს მცველებიც ასცდნენ და თავდამსხმელი გოცირიძეც, მათ უკან კი აფციაური სრულიად მარტო დარჩა. კარამდე სულ მეტრი-მეტრნახევარი იყო. ჩანდა, რომ საგოლედ ბურთისთვის ფეხის დახვედრებაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ... აფციაურმა დაარტყა და კარს გადააცილა. ძალიან უცნაური ეპიზოდი ვნახეთ. ნამატჩევს თავად თორნიკეს უთქვამს, ვიდრე ბურთი ჩემამდე მოაღწევდა სამ-ოთხჯერ ახტა და დარტყმისასაც ასე იყოო. აფციაურს ამ მომენტში რომ ეყოჩაღა, „ოლიმპს“ ალბათ ჩემპიონობას მივულოცავდით. თუმცა ეს, რუსთაული ნულოვანი შედეგის მიუხედავად, ვფიქრობთ, მაინც მოხდება, „დინამოს“ კი მეორეობა მოუწევს...

## პრესკონფერენცია

*დუშან უჰრინი:* სავსე სტადიონი, კარგი თამაში — ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. საწყის 20 წუთში ვნერვიულობდით, მეორე ტაიმის შუიდან კი უპირატესობას „დინამო“ ფლობდა და სპასოევიჩს იდეალური მომენტიც ჰქონდა. მანამდე „ოლიმპსაც“ შეეძლო გატანა.

... მერებაშვილი ახალგაზრდა ფეხბურთელია, ეტყობა, გამოცდილება არ იყო და ამიტომაც ვერ ითამაშა კარგად. ოდიკაძისა და სპასოევიჩის გამოსვლის შემდეგ უკეთესად ავთამაშდით, ბოლო 15 წუთი რისკზე წავედით, თუმც ეს მოსაგებად არ გვეყო.

... „დინამო“ მეშვიდე ადგილზე იყო, მას შემდეგ გვარიანად მოვუმატეთ და ახლა მეორე საფეხურზე ვართ. სამწუხაროდ, დარჩენილ ტურებში ჩემპიონობა მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული.

*რევაზ ძოძუაშვილი:* საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე დღეს საფეხბურთო ზეიმი ვნახეთ. ბედნიერი ვარ, რომ არა მარტო ორი ძლიერი გუნდის კარგი თამაში იყო, არამედ ორივე მხრიდან ის ტაქტიკური მონახაზი დავინახე, ევროსტანდარტებს რომ უახლოვდება.

... მსაჯობა იდეალური იყო. ეგაა, ბიჭები რაღაცნაირად შიშობდნენ — რაც უნდა იყოს, ძალიან მნიშვნელოვანი თამაში ჰქონდათ. ვფიქრობ, მთლიანობაში ფრე ლოგიკური შედეგია.

... დვალიშვილს ერთი თვეა, საზარდული აწუხებს და ამ პერიოდში მხოლოდ 10 დღე თუ ივარჯიშა. ლადოს ძალიან უნდოდა თამაში და ისე გამოვიდა, რომ შეცდომაში შეგვიყვანა — ფეხი სტკიოდა, მისი მინდორზე გაყვანა არ შეიძლებოდა. მას რომ დღეს სრული დატვირთვით ეთამაშა, შესაძლოა, სამი-ოთხი თვე ველარ მიკარებოდა ბურთს.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 23 ტური



# შტურმით სიარული ურმით სიარულია

თბილისი. 5 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 ამერი

| 0:1 ტატანაშვილი (86პ) | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მალიჩავა, სამხარაძე, მ. ფლენტი, სოსელია (ბარბაქაძე 46), გულორდავა (ჩომახიძე 88), გ. გოჩაშვილი (შავერდაშვილი 46) სათადარიგონი: ზუხბაია; კუპრეიშვილი, კირკიტაძე, ბახტაძე მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დიდავა, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (ტატანაშვილი 70), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (ჯელაძე 56), დეკანოსიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ჩიმაკაძე 79), ს. დავითაშვილი სათადარიგონი: ნაჭყებია; ფირანიშვილი, გაბისკირია, ნიკოლაიშვილი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: ჩიკვილაძე (33), დეკანოსიძე (68), გვარამაძე (85) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ი. მაჩიტიძე, ნ. რუსიშვილი; ო. ხეცაძე | |

ბაჩო სვანიძე

**მატჩის** დასასრულს ხუთიოდ წუთი უკლდა, როცა შეცვლაზე შესულმა დიმიტრი ტატანაშვილმა მოედნის ცენტრთან ბურთი მკერდით დაუგდო სულიკო დავითაშვილს, „აბრეზა“ „ლოკომოტივის“ საჯარიმოში შეიჭრა და ბურთი ფეხზე დაასვა ბესიკ ჩიმაკაძეს. ჩიმაკაძე წამით შეყოვნდა და კარიდან გამოსულმა დავით გვარამაძემ წააქცია.

არბიტრმა დავით ხარიტონაშვილმა ამჯერად უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ტატანაშვილმა უნაკლოდ შეასრულა და „ამერს“ თამაში მოაგებინა.

ვთქვით, ხარიტონაშვილმა ამჯერად უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ეს იმიტომ, რომ იქამდე ტატანაშვილის სლალომი რკინიგზელებმა ერთი შეხედვით საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს, თუმც მსაჯმა საჯარიმოს ხაზიდან რამდენიმე სანტიმეტრში დანიშნა ჯარიმა. ეს მომენტი გოლამდე ათი წუთით ადრე იყო, სანამ „ამერი“ საბოლოო შტურმისთვის მოემზადებოდა.

ისე, „ამერს“ შტურმამდე არ უნდა მისვლოდა საქმე, მაგრამ ბურთი არა და არ გადიოდა „ლოკომოტივის“ კარში. პირველ ტაიმში, ჯერ იყო და, საჯარიმოს ხაზთან დავით გვარამაძეს გრიგოლ დოლიძემ წაართვა ბურთი, რომელიც დავით ბოლქვაძეს მიუვიდა, მაგრამ მან პირდაპირ კარში დარტყმის ნაცვლად საჯარიმოში შესვლა სცადა, იქ კი მცველებმა განმუხტეს ვითარება. ამის შემდეგ რატი წინამძღვრიშვილმა მოედნის ცენტრში ჩაჭრა მასპინძელთა იერიში, გრძელი პასით დავითაშვილი თითქმის შეატოვა გვარამაძეს, მაგრამ ბოლო მომენტში აქაც მცველებმა ივარგეს. ამის შემდეგ დავითაშვილმა „ლოკომოტივის“ საჯარიმოში სამ მცველში იფინტავა, დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა, დამატებაზე კი გიორგი დეკანოსიძემ კარს გადააცილა. რამდენიმე წუთში რკინიგზელთა ხარიხა შეზანზარდა, როდესაც ამერელთა კუთხურს ლადო კაკაშვილმა მოაყოლა ეფექტური თავური.

საპირველტაიმო მიმოხილვა „ცალკარა“ რომ არ გამოვიდეს, „ლოკომოტივის“ ორი შეტევაც გამოვარჩიოთ — მიხეილ სოსელიას ჩახვეული საჯარიმო, რომელიც იმ დღეს კაპიტნად მოთამაშე ზურაბ ქვაჩახიამ მოიგერია და ირაკლი სამხარაძის 25 მეტრიდან დარტყმული — ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა ამერელთა ძელს.

აქვე ვთქვათ, რომ „ამერს“ დისკვალიფიკაციის გამო ორი მცველი აკლდა: გიორგი დავითნიძე და გიორგი ელბაქიძე. მათი არყოფნა გუნდს უფრო მეორე ტაიმში დაეტყო.

მეორე ნახევარში ისიც გამოჩნდა, რომ „ლოკომოტივს“ უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდა. „ამერი“ თასის ფინალის მოლოდინშია, რკინიგზელებს კი ქულები სჭირდებათ, რათა საპლეიოფო ზონას მოსწყდნენ. საამისოდ მასპინძლებმა ძალა არ დაიშურეს, მაგრამ ვერც ქვაჩახიასთან პირისპირ გასულმა მიხეილ ფლენტმა იხეირა და ვერც გიორგი შავერდაშვილმა. ფლენტის ოდნავ მახვილი კუთხიდან დარტყმულს ქვაჩახია დაუხვდა ადგილზე, შავერდაშვილს კი ბოლო მომენტში გრიგოლ დოლიძემ ააცალა ბურთი ფეხიდან. იქამდე „ამერს“ უნდა გაეტანა და ინტრიგა ალბათ იქვე მოკვდებოდა. დავითაშვილ-წინამძღვრიშვილ-ბოლქვაძის კომბინაცია გოლით როგორ არ დასრულდა, ძნელი სათქმელია — კარის წინ ორ მეტრში მდგომმა ბოლქვაძემ მიზანს ნამეტანი ააცილა. ამის შემდეგ სანახევრო მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ პენალტამდე მეტი გამოსარჩევი არაფერი მომხდარა.

მცხეთა. 5 მაისი. 17 საათი. არმაზი. 50 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

| ვიტ ჯორჯია | ბათუმი |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, ლუქაშვილი (ბეჭვაია 55), ბერიაშვილი, სახოკია (კვალინაძე 75) სათადარიგონი: ლურბელეიშვილი; ადამაძე, კაიშაური, ინჯგია, კიკნაძე მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ბათუმი: სომხიშვილი, ბ. თევდორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კუნჭულია, ცანავა, ნერგაძე, კ. შალამბერიძე (მაკარიანი 70), დარჩიძე (ბეჟანიძე 83), ვ. კვარაცხელია (ტულუში 90) სათადარიგონი: ბექთაშევი; ფარტენაძე, ა. ბაჯელიძე, კერესელიძე მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: ცანავა (62) | |
| მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ზვ. ერქვანია, ი. კაკაბაძე; ზვ. ასკაროლლი | |

# გამგეობა და პოლიცია: უფრო მეტი გვემცხეთა

მიხეილ ჭორჭოლიანი მცხეთიდან

**გოოოოლ!** — ეს შეძახილი რამდენჯერმე მოგვესმა მატჩის მსვლელობისას, თუმც ხმა იქვე მდებარე მინი-სტადიონიდან მოდიოდა, სადაც ადგილობრივი პოლიცია და გამგეობა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და მათ უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდათ, ვიდრე ეროვნული ჩემპიონატის მატჩს.

არადა, გასაკვირიც რა იყო: „არმაზზე“ შეკრებილთ თვალსასეირო მხოლოდ ხუთი წუთის განმავლობაში ჰქონდათ, როდესაც ვეტერინარებმა შტურმი მოუწყვეს სტუმრებს: 57-ე წუთზე გიორგი მელქაძის ჩაწოდებულ ბურთს დავით ლომაიამ თავური დაჰკრა და ოდნავ ააცილა. წუთში ლუკა რაზმაძემ შორიდან დაარტყა, გიორგი სომხიშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურს ისევ ლომაია „შეეხმიანა“ და სტუმრები ერთხელაც გადარჩნენ. კიდევ ერთ წუთში რაზმაძემ ეფექტურად დაარტყა, თუმც მიზანმა უმტყუნა.

პირველ ტაიმში გატანა ზღვისპირელებსაც შეეძლოთ. ბეგლარ თევდორაძის გრძელი პასით ვახტანგ კვარაცხელია მეკარესთან პირისპირ დარჩა, გრიგოლ ბედიაშვილს ბურთი თავზეც გადაავლო და ვიტჯორჯიელები სუნთქვაშეკრულნი უყურებდნენ, როგორ გადარჩნენ.

70-ე წუთზე კომიკური სიტუაციის მომსწრენიც გავხდით. მეოთხე მსაჯმა ზვიად ასკაროღლიმ შესაცვლელი მოთამაშის ნომრიანი დაფა რომ აწია, მაყურებელი, ნომერი 3 ლერი ხოხონიშვილი და ნომერი 13 კობა შალამბერიძე დიდხანს არკვევდნენ, ვის უნდა დაეტოვებინა მოედანი — ეს „პატივი“ შალამბერიძეს ერგო, რადგან დაფაზე სამიანის წინ ერთიანი კალმით მიეწერათ და შორიდან არ ჩანდა.

უხარისხო მატჩში მოგებული უფრო „ბათუმი“ დარჩა. ვეტერინარებმა ამ ფრით ინტერტოტოს საგზურის საქმეც გაირთულეს, ბათუმელთათვის კი ფინიშისკენ ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს, რათა საპლეიოფო დავიდარაბა თავიდან აიცილონ.

თელავი. 5 მაისი. 17 საათი. გიორგი ჩოხელი. 500 მაყურებელი

## კახეთი 1:1 სიონი

| 1:0 ჩუთლაშვილი (10), 1:1 ბაჯელიძე (65პ) | |
|---|---|
| კახეთი: გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, გერგიშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (მელიქიშვილი 55), კეველიშვილი (ძამუკაშვილი 82), ბიძინაშვილი, გ. ხიდეშელი, მედოევი (ტეტიაშვილი 60). სათადარიგონი: ქუფარაშვილი, აბდულაევი, ბურნაძე მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი | სიონი: ბობღიაშვილი, სვანიძე, ლ. ჭელიძე, ოქროპირიძე, ზ. ჩხეტიანი, ლ. ბაჯელიძე, კობაური, ბუბუტეიშვილი (ვ. უგრეხელიძე 18), ბაბუნაშვილი (გიგინეიშვილი 82), ქარდავა (ბ. ცხადაძე 30), ჩასემი სათადარიგონი: მამალაძე; რაქვიაშვილი, უგულავა მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| მსაჯები: კ. ჭაჭუა, ა. გუნთაძე, მ. ელიკაშვილი; ო. მოლოდინაშვილი | |

# ბამბის ქულა: მეორე...

გიორგი კაციტაძე თელავიდან

**მატჩის** დასაწყისში უფრო გამოცდილი ბოლნისელები უფრო მეტსაც უტევდნენ, თუმცა მე-10 წუთზე დიმიტრი გერგიშვილმა მარცხენა ფრთიდან შეტევა წამოიწყო, რამდენიმე მეტოქეს გასცდა და ბოლნისელთა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს შოთა ჩუთლაშვილი დახვდა და 1:0.

გოლის შემდეგ თელაველები უფრო გააქტიურდნენ. განსაკუთრებით ზაქარია ბიძინაშვილი გამოირჩეოდა. 25-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თელაველთა მცველი იოსებაშვილი თავით დაუხვდა და მცირედით ააცილა კარს. 38-ე წუთზე კი ბოლნისელებმა ვერ გამოიყენეს საგოლე შანსი.

მეორე ტაიმში „სიონი“ გააქტიურდა, 51-ე წუთზე ბაჩანა ცხადაძე პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ იაშვილს ვერ აჯობა. სტუმრები უტევდნენ, კარშიც ხშირად ურტყამდნენ, მაგრამ ხან მეკარე იაშვილი თამაშობდა თავგანწირვით, ხანაც ბურთი მცირედით სცდებოდა მასპინძელთა კარს. 65-ე წუთზე მურველაშვილმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ბაჯელიძემ აუღებელი დაარტყა — 1:1.

გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები ცოტა გამოფხიზლდნენ და ანგარიშის შენარჩუნებაც შეძლეს და მეორე ქულის მოპოვებაც.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 23 ტური

# აი, მიზეზი, სამი მიზეზი
## ჰაი, დედასა, ტორპედო!

ზესტაფონი. 5 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 2:0 ტორპედო

| 1:0 ვიეირა (11), 2:0 იონანიძე (59) | |
|---|---|
| ზესტაფონი: გ. ჭანტურია, დოს სანტოსი, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, კესანი (ბ. ნოზაძე 63), ნ. კვასხვაძე, გ. ჭელიძე (ლეანდრო 74), ვიეირა, ფიფია (ჟონატასი 63), იონანიძე<br>სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, გ. ჩხეტიანი, გ. ხიდეშელი, საჯაია<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ტორპედო: ქვილითაია, ტაბიძე (ა. კვერნაძე 74), გურული, რ. ბარაბაძე, ხურცილავა, კირკიტაძე, ნ. ნადირაძე, ზივზივაძე, ზვ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე (მდივნიშვილი 77), გოდერიძე (კვეტენაძე 62)<br>სათადარიგონი: ოდიშარია; დანელია, ნაჭყებია, გორგოძე<br>მწვრთნელი: დავით ჯანაშია |
| მსაჯები: დ. სანაია, ბ. გაგნიძე, ი. ურუშაძე, მ. ნაკაიძე | |


მალხაზ ალექსიძის ფოტო

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**ეს** იმერული დერბი სამი მიზეზითაც იყო საინტერესო: "ზესტაფონი" საიუბილეო, მეოთხასე მატჩს ატარებდა; "ტორპედომ" ახალი თავკაცით, დავით ჯანაშიათი ითამაშა; ორივე გუნდს ძმები, კახა და ზვიად ჩხეტიანები კაპიტნობდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მე-11 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. სევასტი თოდუამ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ვიეირამ ბურთს მიწაზე დაუშვებლად დაჰკრა და ეფექტური გოლიც გაიტანა.

ამის შემდეგაც თემურ მახარაძის შეგირდები სჯობდნენ მეტოქეს და რამდენიმე საგოლე შანსიც შეიქმნეს. ხუთწუთიან მონაკვეთში ჯერ კესანმა შეაწუხა მაქსიმე ქვილითაია, მერე გოგი ფიფიას დარტყმული გადაევლო ხარიხას, იქვე კი ვიეირას რთული ბურთი აუღო ქვილითაიამ.

ეს ყველაფერი მე-20 წუთამდე მოხდა. მერე კი თამაში წყნარ კალაპოტში მოექცა და შესვენებამდე მეტოქეებს თავი არაფრით გამოუჩენიათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ ფეროელებმა იძალეს და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს სტუმართ. კვასხვაძეს და კესანს ცოტა დააკლდათ გატანამდე, 59-ე წუთზე კი ეს იონანიძემ შეძლო. გიორგი ჭელიძემ ეფექტური პასით კვასხვაძე მეკარეს შეატოვა, ნიკა მარჯვნიდან შევიდა საჯარიმოში და კარის გასწვრივ იონანიძეს დაბალი ჩააწოდა. იონას ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია.

ეს იყო და, მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და თავი აღარ გამოუდიათ. თამაში ვერც ქუთაისელებმა გაამწვავეს და მსაჯის სასტვენამდე მხოლოდ ერთ ეპიზოდს თუ გაიხსენებდა კაცი. სულ რაღაც წუთის შესულმა ლეანდრომ ბურთთან პირველივე შეხება კინაღამ გოლად აქცია — სევასტი თოდუას პასს მან თავური მიაყოლა, თუმცა ქვილითაია მაგრად დაუხვდა.

## დავით ჯანაშია: მეოთხე

**მიმდინარე** სეზონში ქუთაისის „ტორპედოს" უკვე მეოთხე მწვრთნელი ჰყავს. რევაზ ძოძუაშვილის, გიორგი კიკნაძის და იური კვერნაძის შემდეგ რიონისპირელებს დავით ჯანაშია უთავკაცებს.

როგორც „ტორპედოდან" გვაცნობეს, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ახალი მწვრთნელი გუნდს სეზონის ბოლომდე გაწვრთნის.

ჯანაშია აქამდე „ტორპედოს" საამსეზონო განაცხადში იყო. 35 წლის ახალბედა მწვრთნელის დებიუტი წარმატებული ვერ იყო: „ტორპედომ" იმერულ დერბიში „ზესტაფონთან" 0:2 დათმო, თუმცა, „ტორპედოში" შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ეს გასაკვირი არც არის — რიონისპირელები ჯერაც პატრონის მოლოდინში არიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აბა, ეს რა არი, ტო?!

თბილისი. 5 მაისი. 17 საათი. შევარდენი

### მერანი 0:0 დილა

| მერანი | დილა |
|---|---|
| მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, ჯანგიძე, აბშილავა, კობერიძე, ფურთუხია (კეტაშვილი 79), ბეხარაშვილი, ფურცელაძე (ქემაშვილი 46), ჩივაძე (გაგუა 46), ზედელაშვილი, ქორიძე<br>სათადარიგონი: ლომიძე; სარალიძე, დეისაძე, ზირაქიშვილი<br>მწვრთნელი: ასლან ბალაძე | დილა: თევდორაძე, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ტლაშაძე (ბ. ჩიტაია 78), ლომაშვილი, კ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, გ. წინამძღვრიშვილი (სამადაშვილი 46), კობახიძე (ნ. ნოზაძე 64), გონჩაროვი<br>სათადარიგონი: კეჩხუაშვილი; სავანელი, ლომიძე<br>მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე |
| გაფრთხილება: ტლაშაძე, ლომაშვილი | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე, გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია; ვ. ელისაბედაშვილი | |

**ვაჟა ხუციშვილი**

„**დილა**" ჯერ არ გავარდნილა უმაღლესი ლიგინდან, მაგრამ ბევრიც არაფერი უკლია. „მერანს" კი დარჩენილ სამ ტურში გვარიანი ბრძოლა მოუწევს საიმისოდ, რათა პირველლიგელთან პლეიოფში თამაში არ ერგოს. თბილისელებმა ქულა აიღეს, თუმცა ცხრილში ერთი საფეხურით დაბლა დაეშვნენ, რადგან კონკურენტმა „ჩიხურამ" მოიგო და „მერანს" გადაასწრო.

ფლანგებზე თუ შუაში, ნაირ-ნაირი და გონივრული პასები არიგა მასპინძელმა გიორგი ჩივაძემ, მაგრამ კარგ მთქმელს კარგი გამგონი აკლდა. მე-20 წუთზე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ქორიძე, რომელმაც დარტყმის ნაცვლად ქუსლით ზედელაშვილისთვის პასი არჩია. ამასობაში ბურთი მოთამაშეთა ფეხებში გაიხლართა და ეპიზოდს კუთხური მოჰყვა. კუთხურიდან ჩაწოდებულზე მეტოქეებს ზედელაშვილმა დაასწრო და თავითა დაარტყა ხუთიოდ მეტრიდან, მაგრამ ჯაჯგურში კარს ვერ დაუმიზნა.

— აბა, რა არი ეს, ტო! არ გრცხვენია?! აბა, რა არი პენალტი?! — გაბრაზდა ქორიძე, როცა 25-ე წუთზე სტუმართა საჯარიმოში წაიქცა. „მერანის" ფორვარდი მცველთან ჭიდაობაში დაეცა და ბალახზე მჯდომი ითხოვდა მსაჯისგან პენალტს.

ამის მერე ფურთუხიას რეიდი იყო, რომელმაც კარგა მანძილი გაიარა და საჯარიმოში შესულმა დაჰკრა, მაგრამ რიკოშეტმა მხოლოდ კუთხური მოუტანა „მერანს".

შესვენების შემდეგ ჩივაძე და ფურცელაძე გაგუამ და ქემაშვილმა შეცვალეს. ვერ ვიტყვით, რომ ცვლილებამ რამე შემატა მასპინძლებს, რადგან „დილა" გაცილებით უფრო იოლად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე და „მერანზე" მეტი მომენტი, მათ შორის, ასპროცენტიანიც შექმნა. მეორე ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში გონჩაროვის ფლანგური პასით კობა ხანიშვილი კარის ხაზიდან ორ მეტრში აღმოჩნდა. ისეთი ეპიზოდი იყო, უკეთესს ვერ ინატრებდი, მაგრამ ხანიშვილი რატომღაც სწორედ იმ მომენტში მიატოვეს სიზუსტემაც და ღონემაც. ბურთი სეფიაშვილს მიუგორდა, უხეიროდ დამრტყმელმა გორელმა კი თავში ხელები შემოირტყა. შემდეგ ლომაშვილმა სცადა შორიდან გატანა და მეკარემ მოიგერია. ამას კი „მერანის" ორი შეტევა მოჰყვა: გაგუამ აბრაგანი ჰკრა ბურთს, რომელსაც თევდორაძე დაუხვდა, მერე კი ისევ გაგუამ კარგი პასი გაუჭრა ქემაშვილს, ვისაც ბოლო წამს მცველმა დაასწრო. დასრულებამდე ათი წუთით ადრე მფრინავი სეფიაშვილი ვიხილეთ. შეცვლაზე შესულმა სამადაშვილმა პირისპირ გაიყვანა კობა ხანიშვილი და მანაც ბურთს ისე ამოსცხო, „მერანის" მეკარის ზურგსუკან უნდა ჩაშვებულიყო, მაგრამ სეფიაშვილმა კალათბურთელივით მოხსნა და ტაშიც მიიღო.

გორი. 5 მაისი. 17 საათი. ქართლი

### ჩიხურა 1:0 ბორჯომი

| 1:0 დვალი (20) | |
|---|---|
| ჩიხურა: სტურუა, გ. ბარამიძე, ქემოკლიძე, დ. გიგაური, გვეტაძე, თავბერიძე, კ. მახარაძე (ქუხილავა 57), ი. ზაბახიძე, ლ. ვაშაკიძე, გ. მიქაძე, ჯ. დვალი<br>სათადარიგონი: მწყერაშვილი; როგავა, ვ. ზაბახიძე, მ. მიქაძე<br>მწვრთნელი: ვახტანგ თურმანიძე | ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, გოგიჩაიშვილი, ლომიძე, თედიაშვილი (კაიდარაშვილი 87), ლაზარაშვილი (ტალახაძე 63), მემარნიშვილი, ლონლაძე, რ. კვერნაძე, საყვარელიძე, ლ. მერებაშვილი<br>სათადარიგონი: ახაბაშვილი; კოშკაძე, შ. ჯიქია<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| გაფრთხილება: მერებაშვილი (12) | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე, ლ. თოდრია; ა. კრიჭაშვილი | |

# ჩიხ-ურააა!

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**სატურნირო** ვითარებიდან გამომდინარე, „ჩიხურას" ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება და გუნდმა თავი არ დაზოგა, თუმცა თამაშის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა საჩხერელებს: „ბორჯომმა" თავიდანვე შეუტია და სახიფათო მომენტებიც შექმნა. სტუმართა ყველაზე რეალური მომენტი მე-17 წუთზე იყო, როცა კვერნაძემ ახლოდან თავური ააცილა. „ბორჯომი" ისე გაერთო შეტევებში, რომ მე-20 წუთზე მეტოქის კონტრშეტევა გამოეპარა და გოლიც მიიღო: მოედნის სიღრმიდან საჯარიმოს ხაზთან დვალმა მიიღო ბურთი და კარგად გადააწოდა ფლანგიდან „ბორჯომის" საჯარიმოში შეჭრილ მიქაძეს, რომელმაც ზუსტად დაუბრუნა უკვე კარის წინ მყოფ დვალს და ანგარიშიც გაიხსნა — 1:0.

„ჩიხურას" სამ წუთშივე შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ „ბორჯომის" საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილმა დვალმა არაზუსტად დაარტყა. მალევე საჩხერელებმა კვლავ შექმნეს მომენტი: დვალმა საჯარიმოში გადააწოდა ვაშაკიძეს, რომელსაც საგოლე დარტყმა არ გამოუვიდა. ტაიმის ბოლოს კი „ბორჯომს" შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ლომიძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თედიაშვილმა ძელს გაარტყა.

მეორე ნახევარი ნაკლებად საინტერესო იყო, რადგან „ბორჯომმა" თამაში ვერ გამოასწორა, ხოლო „ჩიხურამ" კარის უსაფრთხოებას დაუთმო მეტი ყურადღება. საბოლოოდ, „ჩიხურამ" დამსახურებულად გაიმარჯვა და უაღრესად საჭირო სამი ქულა შეიმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი
## პლეი ოფი. ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

# ტყუპისცალის ტყუპი გმირობა
## ირაკლი ბერიშვილის 26



ირაკლი ბერიშვილი ვერავინ შეაჩერა

### ავიამშენი 2:0 თსუ

5 მაისი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 109:104 თსუ**

*ძირითადი დრო: 97:97*

*21:20 28:21 26:23 22:33 12:7*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (19), დ. ბარბაქაძე (9), ბაბიაშვილი (28), როდუმტა (9), ი. ბერიშვილი (23), კეიდია (9), კვიმსაძე (6)
თსუ: ვეფხვაძე (6), ლეჟავა (29), ხეცურიანი (11), შანიძე (15), მათიაშვილი (13); ბ. ბერიშვილი (12), ფანჩულიძე (7), მ. ბერიშვილი (5), არწივიძე (4), მარხვაშვილი (2), იმნაძე
*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე, მაკა კუპატაძე
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

6 მაისი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 102:97 თსუ**

*23:30 28:22 22:21 29:24*

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (42), ნიკოლაძე (14), ბარბაქაძე (15), ბაბიაშვილი (7), ნინიაშვილი (1); როდუმტა (9), დ. ბერიშვილი (5), კვიმსაძე (9), კეიდია, სუხიშვილი
თსუ: არწივიძე (6), ლეჟავა (13), ფანჩულიძე (14), იმნაძე (9), მათიაშვილი (27); ხეცურიანი (11), ბ. ბერიშვილი (5), მარხვაშვილი (8), ვეფხვაძე (2), შანიძე (2), მ. ბერიშვილი
*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

### აზოტი 2:0 დინამო

5 მაისი. რუსთავი

**აზოტი 101:80 დინამო**

*29:19 23:18 18:21 31:22*

აზოტი: გამყრელიძე (10), ბეჟანიშვილი (9), ბოისა (7), დიდია (15), ტულუში (6), მარკოიშვილი (13), უგრეხელიძე (13), გოგობერიშვილი (17), ტუჯანი (13), ჭოჭუა (2), მალეშევიჩი (7)
დინამო: გულისაბედაშვილი (9), ბადრიძე (14), ლაფანაშვილი (13), სიგუა (13), წერეთელი, ბოლქვაძე, გვიმრაძე (15), ფაიქრიძე (2), ნ. ნოზაძე (13), კოლუაშვილი (11)
*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

6 მაისი. რუსთავი

**აზოტი 92:72 დინამო**

*20:16 28:22 25:15 19:19*

აზოტი: გამყრელიძე (11), ბერძენიშვილი (5), ბეჟანიშვილი (10), ბოისა, მინაშვილი (9), ცეკვავა; ტულუში (8), მარკოიშვილი (6), უგრეხელიძე (10), მალეშევიჩი (4), ტუჯანი (8), ჭოჭუა (21)
დინამო: გულისაბედაშვილი (12), ბადრიძე (13), ლაფანაშვილი (20), ნ. ნოზაძე (13), სიგუა, კოლუაშვილი (3), გვიმრაძე (8), ფაქრიძე (3)
*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

თსუ — „ავიამშენის" საპლეიოფო დაპირისპირება რომ საინტერესო იქნებოდა, თავიდანვე ვარაუდობდნენ და ეს ამ გუნდების პირველივე შეტაკებამ დაადასტურა. ნახევარფინალური სერიის გახსნის მატჩში ვერის ბაღში მისულმა ქომაგმა უშელავათო ბრძოლა იხილა, რომელიც ოვერტაიმში გადაიზარდა და ერთობ დაძაბულად ჩამთავრდა.

ქომაგობა ვახსენეთ და არ იქნება, ერთი რეპლიკა არა ვთქვათ. სუპერლიგას ყველა აქებდა და მის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად მაყურებელს ასახელებდა. ეს მართლაც ასე იყო, ოღონდ რეგულარულ ჩემპიონატში. თუკი აქამდე ამ გუნდების შეხვედრისას ტრიბუნები გვარიანად იხუნძლებოდა, შაბათს ვერის ბაღში სიხალვათე იყო. არადა, გადამწყვეტი მატჩებია და წესით ახლა უნდა გადაჭედილიყო დარბაზი, მაგრამ... მაყურებელი იმდენი იყო, აუტსაიდერთა უღონო ბურთაობისას რომ ხოლმე. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ბილეთების ფასია. პლეი ოფის მატჩის ნახვა 2 ლარი ღირს.

არადა, ეს ისეთი საინტერესო თამაში გამოვიდა, ჭეშმარიტ ქომაგს მის სანახავად ორი ამდენიც არ დაენანებოდა. ლამის მოსაწყენ კალაპოტში ჩამდგარი მატჩი ბოლო მეოთხედში ისე დაიძაბა, სკამზე მოსასვენებლად ვიღას ეცალა, მოედანზე ცეცხლი ენთო, რომელიც სტუდენტებმა დაანთეს და მათდა სამწუხაროდ, „ავიამშენის" დასაწვავად დენთი აღარ ეყოთ.

აბსოლუტურად თანაბარი საწყისი მეოთხედის შემდეგ „ავიამშენმა" ფრთები გაშალა. უფრო სწორად, მისმა კამერუნელმა ლეგიონერმა პლასიდე როდუმტამ გაშალა თავისი გრძელი ხელები და საკუთარ ფარქვეშეთს სტუდენტებისგან საიმედოდ იცავდა. როდუმტამდე კი „ავიამშენი" ზვიად ბაბიაშვილმა ზურგით მარტომ ათრია და როცა გვერდში ძალა იგრძნო, თსუ-ს საქმე გაუმრუდდა.

ბაბიაშვილმა აშკარად დაჯაბნა რიჩარდ მათიაშვილის ნაცვლად გამოსული დავით იმნაძე და როცა გიორგი ნიკოლაძემ და ირაკლი კეიდიამ იჩუბინეს, „ავიატორთა" უპირატესობამ ათქულიანი სახე მიიღო — 30:20.

სტუდენტების თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა ჩვეულ ხერხს მიმართა. მეფარეები მოედანს განარიდა, მართვის სადავეები გუნდის შედარებით დაბალ და სხარტ წევრებს გადააბარა და პრესინგს მიმართა. ამან არ გაამართლა, რადგან ტყუპ ბერიშვილებს ბურთი ლამის აკვნიდან მოჰყვებათ და მისი საიმედოდ ფლობა არ ეშლებათ. ისინი იოლად ძლევდნენ ასხმარტალებული სტუდენტების მიძალებას და ბურთიც აუღელვებლად გადაჰქონდათ მეტოქის ნახევარზე, სადაც მათ ბაბიაშვილი უცდიდა და „ავიამშენმაც" იოლად გადაავორა თსუ-ს პირველი საპრესინგო შემოტევა — 49:41 პირველი ტაიმის შემდეგ.

მესამე მეოთხედში არაფერი შეცვლილა, კაპიტან ირაკლი ხოშტარიას გარეშე მოთამაშე „ავიატორები" ლიდერობას იოლად ინარჩუნებდნენ — ზვიად ბაბიაშვილს უკანა ხაზიდან ირაკლი ბერიშვილი ეხმარებოდა და მეოთხედის ბოლო წამებზე ლევან მოსეშვილის გუნდმა 14-ქულიანი ლიდერობა დაიბევა. განწირულ თსუ-ს იმედის ნაპერწკალი ბესიკ ლეჟავას სირენის თანხლებით ჩაგდებულმა სამქულიანმა გაუღვივა — სტუდენტები ბოლო მეოთხედის წინ 64:75 აგებდნენ.

თსუ-მ პრესინგი განაახლა, ოღონდ ამჯერად მოედანზე იყო ტანმაღალი რიჩარდ მათიაშვილი, რომელიც ბრწყინვალედ ჩაჯდა ჭეიშვილის ჩაფიქრებულ მონახაზში. პრესინგი დაცვისას, თორემ შეტევაში სტუდენტებს ბესიკ ლეჟავა შველოდა, რომელმაც სამქულიანი სამიზნე მომართა და მიჯრით ჩაყრილი რამდენიმე ბურთის მერე თსუ 77:79 მიუახლოვდა მეტოქეს.

„ავიამშენი" სტუდენტურ ანკესს წამოეგო, როცა თსუ-ს სწრაფ თამაშში აჰყვა და თავადაც უკანახაზელებზე მოიმართა. მოედანზე არც ბაბიაშვილი იყო და არც დავით ბარბაქაძე, ხოლო ირაკლი ბერიშვილის ნაცვლად შესულმა ბუბა კვიმსაძემ ლეჟავას ნავარდი პერიმეტრზე ვერაფრით აღკვეთა. ეულ ლიდერად დარჩენილმა გიორგი ნიკოლაძემ ჩვეული გარღვევებით ხეირი ვერ ნახა, უმეტესად აცილებდა და მოსახდენიც მოხდა: ძირითადი დროის ამოწურვამდე 2 წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა ლეჟავამ მორიგი სამქულიანით თსუ დააწინაურა — 92:91.

დაბნეულ „ავიამშენს" ბუბა ბერიშვილმა ერთი ორიანიც ჩაუგდო და სირენამდე წუთით ადრე ჭეიშვილის სამწყსო 3 ქულას იგებს. ნიკოლაძემ მორიგი ბურთი ააცილა და თსუ-მ ლამის გაინაღდა გამარჯვება. 50 წამი დასრულებამდე და ბურთი სტუდენტებისაა.

საინტერესოა, როგორ მოახერხეს „ავიატორებმა" ამ უიმედო თამაშის ოვერტაიმამდე მიყვანა. ეს მათი რკინის ნერვებიანი ირაკლი ბერიშვილის დამსახურებაა, რომელმაც ამ მატჩში 12 ცდიდან ჩაგდებული 12 საჯარიმოდან 6 ძირითადი დროის ბოლო 22 წამში მიითვალა.

„ავიატორები" ტაქტიკურ ჯარიმებზე გადავიდნენ და მანამ არ მოისვენეს, სანამ სირენამდე 15 წამით ადრე დავით არწივაძემ საბედისწერო საჯარიმო არ გააცუდა, ხოლო სნაიპერმა ბერიშვილმა გამთანაბრებელი ქულები მოიხვეჭა.

ოვერტაიმში თსუ სულიერად გატყდა. ლამის წაგებული თამაში შემოატრიალა, თითქმის გაუბათილებელ ჰანდიკაპს მიაღწია, მაგრამ ბოლო წამებზე ეს უპირატესობაც გაფლანგა. დამატებით ხუთწუთეულში „ავიამშენმა" დაცვა გაამაგრა, პლასიდე როდუმტა მოედანს დაუბრუნდა და იშვიათად, მის შლაგბაუმივით სხეულს ვინმე გასცდენოდა. „ავიატორებმა" 3 წუთში 10-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს, მოგება გაინაღდეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

სერიის პირველი მატჩისა არ იყოს, მთავარი გმირი აქაც ირაკლი ბერიშვილია. ისე კი, ამ ორ თამაშს ბევრი რამ ჰქონდა საერთო — მართალია, ოვერტაიმი არ ყოფილა, მაგრამ ფინალი გამოვიდა ისეთი დრამატული, უკეთესი, რომ ალბათ აღარ არსებობს.

თუკი პირველ მატჩში მდევარი თსუ იყო, ახლა ჩამორჩენის გაბათილება ძირითადად „ავიამშენს" უწევდა. განსხვავება ის გახლდათ, რომ ლევან მოსეშვილის გუნდი მეტოქეს რომ დაეწია, წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა და მამასისხლად მოპოვებული ლიდერობა საფინალო სირენამდე კბილებით დაიცვა.

მოსეშვილმა უწინდელისგან განსხვავებული ხუთეული შეარჩია. მან თამაში წინა შეხვედრაში სათადარიგოდ მყოფ თორნიკე ნინიაშვილს დააწყებინა, რომელმაც ვერ დაძლია თსუ-ს ტანმაღალი, იმნაძე-მათიაშვილის ტანდემის წინააღმდეგობა და თსუ-მ პირველ მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა მეორეში უფრო განამტკიცა — 35:23.

ეს უკვე ნამეტანი იყო. მოსეშვილს რამე უნდა ეღონა და მან ფარქვეშეთის დაპყრობას უკანა ხაზიდან შეტევა ამჯობინა — ერთმანეთს ტყუპი ბერიშვილები შეუწყვილა, რომელთაგან ერთმა, ირაკლიმ, თავი განსაკუთრებით გამოიდო და „ავიამშენმა" მეორე მეოთხედშივე რომ მოიპოვა ლიდერობა, პირადად მისი დამსახურებაა. ის ქულებს (საბოლოოდ 42 მოუგროვდა) იხვეჭდა ნებისმიერი პოზიციებიდან — სამიანები, ორიანები, საჯარიმოები.

აქ დაზუსტებაა საჭირო: ბერიშვილმა გუშინ 14-დან ყველა საჯარიმო ჩააგდო და ორი საპლეიოფო მატჩის ჯამში უკვე 26 მიჯრით ჩაგდებული ერთქულიანი აქვს.

...მეორე ტაიმის დასაწყისში თსუ-მ ისევ შეუბერა, ისარგებლა მეტოქის შეცდომებით და 7-ქულიან ლიდერობა დაიბევა, მაგრამ ბერიშვილებმა აქაც ისახელეს თავი, მათ გიორგი ნიკოლაძეც შეეშველა და თამაში ისევ გათანაბრდა.

ბოლო მეოთხედი საყაიმო ანგარიშით დაიწყო და „ავიატორებს" თანდათან ეცლებოდათ ხელიდან მეფარეები. ჯერ ზვიად ბაბიაშვილი გავარდა, თამაშის ბოლოსკენ მას პლასიდე როდუმტაც მიჰყვა და ისედაც უკანახაზელთა იმედად მყოფი „ავიამშენი" სულ მთლად დაბლების ამარა დარჩა.

მათაც თავი არ შეირცხვინეს და სწრაფი გარღვევებით თუ შორი სროლებით სტუდენტებს სისხლი გაუშრეს. ირაკლი ბერიშვილმა სირენამდე წუთით ადრე ოქროს სამქულიანი ჩააგდო და „ავიამშენი" 94:90 დააწინაურა. შიო ხეცურიანმაც სამი ქულა მიუთვალა თსუ-ს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

...მორიგი შეტევა, ცხადია, ტყუპისცალმა წამოიწყო, რომელიც ჯარიმით შეაჩერეს და „ავიამშენმა" სამქულიანი ლიდერობა აღადგინა. ამასობაში ნიკოლაძემ მეხუთე პერსონალური მიიღო და მოედანი დატოვა, საჯარიმოები კი ბესიკ ლეჟავამ მიითვალა და სხვაობა ისევ ქულამდე ავიდა. აქ კი სასწაულის ტოლფასი ამბავი მოხდა: ლევაჟამ „ავიატორებს" ფარქვეშიდან შემოტანილი ბურთი ჩაუჭრა და ჯერ თავად, ხელს რომ არავინ უშლიდა, ორჯერ აცილა ბურთი ფარქვეშიდან და მერე იგივე გაიმეორა მისმა თანაგუნდელმა ნიკა ვეფხვაძემ. ფარიდან ასხლეტილი დავით ბერიშვილმა მოხსნა და მასზე უმალ დაჯარიმდნენ. სირენამდე 20 წამით ადრე დავითმა ორივე ჩააგდო და „ავია" ისევ 3 ქულით დააწინაურა.

თსუ-ს საკმაო დრო რჩებოდა თამაშის ოვერტაიმში გადასაყვანად, მაგრამ ვერც ხეცურიანმა და ვერც მიხეილ ფანჩულიძემ გამთანაბრებელი სროლები ვერ ჩააგდეს და... 2:0.

**ირაკლი პერტაია**

PLAYOFFS 2007

# ძველი ბიჭებიც ტირიან

## ტრეისი მაკგრეიდი დაწყევლილია?!



ტრეისი მაკგრეიდი მაღლა დაფრინავს, მაგრამ სულ დაბლა ენარცხება

„მე ჩემი ვცადე, ძმაო, ვცადე, მაგრამ..." — „ჰიუსტონის" ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ თამაშის დამთავრების შემდეგ მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და ამ მოძველბიჭო მოთამაშეს ცრემლიც კი ჩამოუგორდა ლოყაზე.

მაკგრეიდი ამდენი წელია, ნბაში დიდვარსკვლავობს, პრეტენზიებიც გვარიანი აქვს, მაგრამ ერთი წყევლის მაგვარი რამ უშლის ხელს მისი საკალათბურთო ნიჭის სრულად გაფურჩქვნას და დიდების მოსავლის სრულად მომკას — მას არასდროს მოუგია თუნდაც ერთი სერია პლეი ოფში.

ახლა თითქოს ყველაფერი მის სასარგებლოდ მოეწყო, „ჰიუსტონი" ჯერ 1:0 დაწინაურდა „იუტასთან" და მერე მთელი სერია ახერხებდა მოედნის უპირატესობის შენარჩუნებას, 3:3 ანგარიშზე კი გადამწყვეტი შეხვედრა შინ ჰქონდა, მაგრამ წინა ექვს თამაშში მუდამ მასპინძელი რომ იგებდა, ახლა სტუმარმა „იუტამ" იმარჯვა და „ჰიუსტონიც" და მისი გაოგნებული ლიდერიც პირველ რაუნდში ჩატოვა.

„იუტა ჯაზი" 2000 წლის შემდეგ პირველად გავიდა მეორე ეტაპზე. ჟურნალისტებმაც მალევე იპოვეს პარალელი ძველ და ახალ „ჯაზმენებს" შორის — ახლაც, ისევე როგორც მაშინ, ჯერი სლოუნის გუნდი გამთამაშებელ-თავდამსხმელის (პირველი და ოთხი ნომერი) სუპერდუეტზეა აწყობილი. ძველი „იუტას" მამოძრავებელ ძალას ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი წარმოადგენდნენ, ახალში კი მათი შესატყვისები არიან დერონ უილიამსი და კარლოს ბუზერი და ორივემ გადასარევად ითამაშა მეშვიდე მატჩში.

„ჯაზმენებს" შეუძლიათ, გაცილებით შორსაც წავიდნენ, მეორე რაუნდში ისინი ფავორიტი „დალასის" მძლეველ „გოლდენ სტეიტს" შეხვდებიან.

პირველი რაუნდი ამოიწურა აღმოსავლეთშიც, სადაც გამოცდილმა „ნიუ ჯერსიმ" 4:2 აჯობა ახალგაზრდულ „ტორონტოს". მეექვსე შეხვედრაში გადამწყვეტი ქულების მოპოვება ითავა ნიუჯერსელთა ფრთა რიჩი ჯეფერსონმა, ვინაც სირენამდე 8,3 წამით ადრე ორიანი ჩააგდო, რამდენიმე წამში კი ტორონტოელებს ბურთი ჩაუჭრა და პლეი ოფიდანაც გაუშვა.

„დეტროიტ" — „ჩიკაგოს" პირველი შეხვედრით დაიწყო მეორე რაუნდიც. ჩემპიონი „მაიამის" გამანადგურებელმა „ჩიკაგომ" ბოლო წლების კიდევ ერთ ბობოლასთან, 2004 წლის ჩემპიონ „დეტროიტთან" ჯერ ვერაფერი გააწყო და 26 ქულით შერცხვა. ძველმა დეტროიტელმა აწ კი „ჩიკაგოს" დაცვის ბურჯმა ბენ ვოლესმა ყოფილ თანაგუნდელებს თავზე ბეწვიც ვერ შეურხია, მაგრამ დამარცხებულთა მხრიდან ყველაზე უფერული მაინც მისი სეხნია, ბენ გორდონი იყო, რომელიც „მაიამის" კალათს საშუალოდ 25 ქულით უბომბავდა, ახლა კი 7-ით შემოიფარგლა.

**კოტე ყორშია**

4-5 მაისი

### დასავლეთი

**იუტა 4:3 ჰიუსტონი**

**ჰიუსტონი 99:103 იუტა**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (29 ქულა, 13 პასი), მინი (29), ბეტიე (16), ალსტონი (11)
იუტა: ბუზერი (35 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი (20 ქულა, 14 მოხსნა), ოქური (16)

### აღმოსავლეთი

**ტორონტო 2:4 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 98:97 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), კარტერი (21), კიდი (18 ქულა, 15 პასი, 8 მოხსნა)
ტორონტო: ბოში (23 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ფორდი (19), ბარნანი (17), კალდერონი (14)

### მეორე წრე

**დეტროიტი 1:0 ჩიკაგო**

**დეტროიტი 95:69 ჩიკაგო**

დეტროიტი: ჰამილტონი (20), ბილაფსი (20), პრინსი (13), ვოლესი (13), მაქსეილი (12)
ჩიკაგო: დენგი (18), ჰაინრიხი (15)

## ევროლიგა

ოთხთა ფინალი ათენი. 4-6 მაისი

# ესპანლური

### ნახევარფინალი

**პანათინაიკოსი 67:53 ტაუ**

პანათინაიკოსი: ბატისტა (15 ქულა, 12 მოხსნა), ბეჩიროვიჩი (15), შიშკაუსკასი (11)
ტაუ: ერდოგანი (11)

**ცსკა 62:50 უნიკახა**

ცსკა: ლანგდონი (13), ანდერსენი (12), პაპალუკასი (11)
უნიკახა: კაბეზასი (13)

ათენის ოლიმპიურ დარბაზში ევროლიგის ნახევარფინალები ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩათამაშდა. ფავორიტები — მასპინძელი „პანათინაიკოსი" და მოქმედი ჩემპიონი მოსკოვის ცსკა დამაჯერებლად გაუსწორდნენ ორ ესპანურ გუნდს — ვიტორიის „ტაუ კერამიკასა" და მალაგის „უნიკახას".

განსაკუთრებით იოლად მოიგეს მასპინძლებმა. ჟელკო ობრადოვიჩის „პანათინაიკოსს" 2002 წლის შემდეგ აღარ უჩემპიონია ბებერ კონტინენტზე და ახლა ყველანაირად მობილიზებულია შანსის გამოსაყენებლად. მასპინძლები პირველივე წამებზე 5:0 დაწინაურდნენ და ბოლომდე არ დაუთმიათ უპირატესობა. ესპანელები მთელი შეხვედრა ცდილობდნენ, მაგრამ მათ სნაიპერებს სროლები არ წაუვიდათ, ხოლო როცა ბოლო მეოთხედში პერსონალურების ლიმიტის ამოწურვის გამო სუპერფორვარდი ლუის სკოლაც გაუვარდათ, სულ უიმედოდ დარჩნენ.

უფრო დაძაბული გამოვიდა მეორე ნახევარფინალი. აქ მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე შეიცვალა ლიდერი და გუნდები მეოთხე მეოთხედს 44:44 ანგარიშით მიადგნენ, მაგრამ გადამწყვეტი ათწუთეულში ლამის რუსების გარეშე მოთამაშე რუსულმა გუნდმა 18:6 იძალა და ზედიზედ მეორედ უწია ფინალს.

**კოტე ყორშია**

**გუშინ**

**ფინალი**

**პანათინაიკოსი 93:91 ცსკა**

**მე-3 ადგილისთვის**

**უნიკახა 76:74 ტაუ**



## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი წრე. პირველი ტური



„ლოკომოტივმა" „არმაზი" დაამიწა

# ყოჩთა ლელობა

**ლელო 26:27 ყოჩები**

ლელო: სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე, სარდანაშვილი, ახალაია, დაუშვილი, თოფურია, ხმალაძე, ცერცვაძე, ფირფილაშვილი, თოდუა, ზაალიშვილი, ყიასაშვილი.
შეცვლაზე შევიდნენ: ჯამრულიძე, რცხილაძე, მძინარიშვილი, კობეშავიძე, კორკელია, ქიზიყურაშვილი, ჯოგლიძე.
2ლ: ზაალიშვილი, 2გ: ყიასაშვილი, 4ს: ყიასაშვილი
ყოჩები: ასეიშვილი, კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, ლუდუშაური, დგებუაძე, ხელაძე, კობახიძე, კუპრეიშვილი, ახვლედიანი, ჟამუტაშვილი, ნიჟარაძე, გეგენავა.
შეცვლაზე შევიდნენ: გრძელიშვილი, ქუშაშვილი, თოთაძე, მეტრეველი, კალმახელიძე
3ლ: შეყლაშვილი (2), არჩუაშვილი; 3გ: კობახიძე, 2ს: კობახიძე

**თსუ 9:3 დინამო**

თსუ: ალადაშვილი, ქორიძე, დონაძე, სურგულაძე, მჭედლიძე, დ. კილასონია, დათუნაშვილი, დარასელია, წიკლაური, ბაირამაშვილი, კიკვიძე, ლ. კილასონია, კუპრეიშვილი, ტუჩაშვილი, ნუცუბიძე
შეცვლაზე შევიდნენ: მასხარაშვილი, მონიავა, გუჩაშვილი, კერაძე, ჯაში, მელქაძე
1ს: ბაირამაშვილი 2ა: ბაირამაშვილი
დინამო: გოგიშვილი, მურვანიძე, მოქია, ჭიჭინაძე, ანდრეასოვი, რამიშვილი, მირცხულავა, აზალაძე, კრეპსი, ავლოხაშვილი, ოდიშარია, ხვიჩია, მაისურაძე, გრუდკო, გრძელიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: გაგნიძე, ხმალაძე, ღირსიაშვილი, ჯეირანაშვილი, შიაშვილი, ზაქარეიშვილი, აგიაშვილი
1ს: ოდიშარია

**ლოკომოტივი 34:8 არმაზი**

ლოკომოტივი: პეტრიაშვილი, ელოშვილი, ხეჩიკოვი, მგელაძე, მთიულიშვილი, ბერიშვილი, მაისურაძე, მხეიძე, სარიშვილი, კვინიხიძე, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, უდესიანი, ნადირაძე, ასათიანი.
შეცვლაზე შევიდნენ: მარსაგიშვილი, დათუკიშვილი, ძლენტი, მზარეულაშვილი, კახიანი, მუქარაიძე
5ლ: ხეჩიკოვი (2), პეტრიაშვილი, ბერიშვილი, მხეიძე; 3გ: კვინიხიძე; 1ს: კვინიხიძე
არმაზი: კოკოლიშვილი, სოსელია, ჯიშკარიანი, ჭელიძე, მელიქიძე, კანდელაკი, პინაიშვილი, ცირეკიძე, მჟავანაძე, ბ. ურჯუკაშვილი, ჯავარაშვილი, ძნელაძე, კაიფაჯიანი, მინაშვილი, ჩხაიძე
შეცვლაზე შევიდნენ: მაისურაძე, დ. ურჯუკაშვილი, ლამბაშიძე, ლუკავა, მაჭარაძე, ლიპარტელიანი
1ლ: მინაშვილი 1გ: ბ. ურჯუკაშვილი

„ეჰ, საქართველოში ახლა ვისაც პატრონი ჰყავს, უკვე მთვრალია" — დაიჩივლა ხანში შესულმა გულშემატკივარმა, რომელიც გიორგობა დღეს საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლო თამაშს უყურებდა. არადა, „ლელოსა" და „ყოჩებს" შორის ჯახი პირველი ტურის სხვა თამაშებთან შედარებით უხვქულიანობით და დაძაბულობით გამოირჩა.

